

განმარტებითი ბარათი

"განათლების შესახებ"

საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება გამოწვეულია "ზოგადი განათლების შესახებ", "პროფესიული განათლების შესახებ" და "უმადლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონებში განხორციელებული ცვლილებებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია "განათლების შესახებ" საქართველოს კანონის "ზოგადი განათლების შესახებ", "პროფესიული განათლების შესახებ" და "უმადლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონებში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს, რომლებიც გამომდინარეობს "ზოგადი განათლების შესახებ", "პროფესიული განათლების შესახებ" და "უმადლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონებში განხორციელებული ცვლილებებიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

